585
1959
78832

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 3 (90) აპრილი 1959 წელი

შინაარსი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი და დადგენილებანი

1. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მოწვევის შესახებ.
2. ამბ. ა. ე. ტაკაძის დაშვების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრის მოვალეობის ასასრულებლად.
3. იმ პირთა დაჯილდოების შესახებ, რომლებმაც წარმატებით შეასრულეს დავალებანი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის მზადების პერიოდში.
4. ამბ. გ. ვ. ბლიაძის დაშვების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრის მოვალეობის ასასრულებლად.
5. ბრძანებულება აფხაზეთის ასსრ სოხუმისა და გულრიფშის რაიონების ერთ,—სოხუმის რაიონად გაერთიანების შესახებ.
6. ბრძანებულება საქართველოს სსრ ჭუთაისის რაიონის გაუქმების შესახებ.
7. მრავალშვილიანი დედების „სახელოვანი დედის“ ორდენებითა და „დედობის მედლის“ მედლებით დაჯილდოების შესახებ.

საქართველოს ... ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი და დადგენილებანი

1. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მოწვევის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი საქართველოს სსრ კონსტიტუციის 42 მუხლის საფუძველზე ადგენს:

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მეხუთე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველი სესია მოწვეულ იქნას 1959 წლის 17 აპრილს ქალაქ თბილისში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე — **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი — **ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1959 წ. 30 მარტი.

2. ამხ. ა. ე. ტაკიძის დაშვების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრის მოვალეობის ასასრულებლად

1. დაშვებულ იქნას ამხ. აარონ ერმალოს-ძე ტაკიძე საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრის მოვალეობის ასასრულებლად.

2. ეს დადგენილება წარედგინოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მორიგ სესიას დასამტკიცებლად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე — **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი — **ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1959 წ. 3 აპრილი.

3. იმ პირთა დაჯილდოების შესახებ, რომლებმაც წარმატებით შეასრულეს დავალებანი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის მზადების პერიოდში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის მზადების პერიოდში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

პრეზიდიუმის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის დაჯილდოვდნენ ფასიანი საჩუქრებით: სმირნოვი იოსებ ანდრიას-ძე—საქართველოს სამოქალაქო ავიაციის ტერიტორიალური სამმართველოს უფროსი პილოტი-ინსპექტორი—მაჯის საათით (525 მანეთის ღირებულებისა), ჯაიანი ვასილ ვატას-ძე—საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პარტიული ორგანოების განყოფილების პასუხისმგებელი ორგანიზატორი, სუარიძე იოსებ კაცილას-ძე—საქართველოს კპ დუშეთის რაიკომის საორგანიზაციო განყოფილების გამგე, კოზლოვი პეტრე ივანეს-ძე, გელაშვილი მიხეილ ილიას-ძე—საქართველოს სამოქალაქო ავიაციის ტერიტორიალური სამმართველოს პილოტი-ინსპექტორი, აგანეზოვი აღასი ამბარცუმის-ძე—ხომალდის მეთაური და ავერკინი კონსტანტინე ანდრიას-ძე—ინსტრუქტორი-პარაშუტისტი—მაჯის საათებით (თითოეული 435 მანეთის ღირებულებისა).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე—მ. ჩუბინიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი—ზ. გელდიაშვილი.

ქ. თბილისი.
1959 წ. 4 აპრილი.

4. ამხ. გ. ვ. ბლიაძის დაშვების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრის მოვალეობის ასასრულებლად

1. დაშვებულ იქნას ამხ. გოდერძი ვლადიმერის-ძე ბლიაძე საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრის მოვალეობის ასასრულებლად.

2. ეს დადგენილება წარედგინოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მორიგ სესიას დასამტკიცებლად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე—მ. ჩუბინიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი—ზ. გელდიაშვილი.

ქ. თბილისი.
1959 წ. 9 აპრილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. ბრძანებულება აფხაზეთის ასსრ სოხუმისა და გულრიფშის რაიონების ერთ,—სოხუმის რაიონად გაერთიანების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1959 წლის 7 აპრილის წარდგინება აფხაზეთის ასსრ სოხუმისა და გულრიფშის რაიონების ერთ,—სოხუმის რაიონად გაერთიანების შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე—**მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი—**ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1959 წ. 10 აპრილი.

6. ბრძანებულება საქართველოს სსრ ქუთაისის რაიონის გაუქმების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

1. გაუქმდეს საქართველოს სსრ ქუთაისის რაიონი და მასში შემავალი სასოფლო საბჭოები მიეკუთვნოს:

ა) წყალტუბოს რაიონს—მექვენის, ოფურჩხეთის, რიონის, ქვიტირის, დღნორისის, გეგუთის, პატრიკეთის, ოფშკვეთის და საყულიის;

ბ) თერჯოლის რაიონს—ბარდუბნის, კვახჭირის, ნაგარევის, ნახშირღელისა და ქვედა სიმონეთის.

2. მუშათა დასახლება „გუმათიპესი“ ადმინისტრაციულად დაექვემდებაროს ქუთაისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე—**მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი—**ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1959 წ. 10 აპრილი.

7. მრავალშვილიანი დედების „სახელოვანი დედის“ ორდენებითა და „დედობის მედლის“ მედლებით დაჯილდოვების შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 18 აგვისტოს ბრძანებულების საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1959 წლის 4 აპრილის ბრძანებულებით დაჯილდოვა „სახელოვანი დე-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დის“ ორდენებით და „დედობის მედლის“ მედლებით 320 მრავალშვილიანი დედა, მათ შორის:

ქალაქ თბილისიდან	. . . . .	5
„ ქიათურიდან	. . . . .	24
ახმეტის რაიონიდან	. . . . .	29
ბოგდანოვკის რაიონიდან	. . . . .	25
გეგეჭკორის „	. . . . .	22
გ ო რ ი ს „	. . . . .	15
დმანისის „	. . . . .	15
დუშეთის „	. . . . .	18
ზუგდიდის „	. . . . .	1
თეთრიწყაროს „	. . . . .	14
თელავის „	. . . . .	11
თერჯოლის „	. . . . .	2
საგარეჯოს „	. . . . .	18
ყაზბეგის „	. . . . .	7
ყვარლის „	. . . . .	5
წალკის „	. . . . .	28
წითელწყაროს „	. . . . .	10
წყალტუბოს „	. . . . .	10
ცხაკაიას „	. . . . .	7
ხ ო ბ ი ს „	. . . . .	2
ლენინგორის „	. . . . .	32
სტალინირის „	. . . . .	11
ჯ ა ვ ი ს „	. . . . .	9